რა როლს ასრულებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება თანამედროვე მსოფლიოში

ამზა ჩარგაზია, მარიამ ტლაშაძე,
მარიამ ცაბაძე, ნატა ქირია, მარიამ ხვედელიძე
თსუ, ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

ცივი ომის დასრულების შემდგომ დაიწყო იმაზე ფიქრი თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები მსოფლიოში და როგორ მოხდებოდა ძალთა გადანაწილება. პოპულარული გახდა ისეთი იდეები, რომლებიც მარადიულ მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე აკეთებდნენ აქცენტს. თუმცა კონფლიქტებისა და ეთნოკონფლიქტების ფონზე მალე გამოჩნდა, რომ იდეალისტური სამყარო ჯერ კიდევ შორს იყო. თუმცა სახელმწიფოთა შორის განვითარებულმა ეკონომიკურმა თანამშრომლობითმა პროცესებმა, ასევე ეკონომიკურმა ძვრებმა, რომლებიც გამოიხატებოდა სხვადასხვა ორგანიზაციის დაფუძნებასა და მისი ეკონომიკური საწყისების გაძლიერებაში, ასევე მზარდმა ინტერესმა ეკონომიკურ- ენერგეტიკული პროექტების მიმართ აჩვენა რომ სახელმწიფოებმა დაიწყეს ერთობლივი მოლაპარაკებები და ასევე ფიქრი ერთობლივი სარგებლის მიღებაზე. რაც უფრო ძლიერდებოდა ორგანიზაციები, რომელთა საფუძველსაც უშუალოდ ეკონომიკური სარგებლის მიღება წარმოადგენდა, მით უფრო ღრმავდებოდა ქვეყნებს შორისი თნამშრომლობა დადებით ჭრილში. შესაბამისად არსებობს საკმაოდ ლოგიკური საფუძველი იმ მოსაზრებისა, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება აწესრიგებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს, ეხმარება მათ კოორდინაციაში და ასევე როგორც ეროვნული ინტერესებს დაცვასა და სისრულეში მოყვანაში, ასევე მათ ჰარმონიზაციაში საერთო ინტერესებთან.

შესავალი

ცივი ომის დასრულების შემდგომ მეცნიერებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მომავალმსოფლიოში მოვლენები. საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უფრო რთული და კომპლექსური გახდა, რადგან დღეს არა მხოლოდ სახელმწიფოები, არამედ სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო აქტორებიც დიდ როლს თამაშობენ თანამედროვე პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაში. გამოჩნდა ისეთი თეორიები, რომლებმაც პოპულარობა მოიხვეჭეს და რომლებიც მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაზე აკეთებდნენ აქცენტს და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე საუბრობენ.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია ერთ-ერთია მათ შორის, რომლისთვისაც ძალას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და რომელიც ეფუძნება თანამშრომლობის იდეას. ამ თეორიაში ასევე გამოიყოფა კომპლექსური ეკონომიკური დამოკიდებულების თეორია, რომელიც აქცენტს სახელმწიფოთა ეკონომიკურ მიჯაჭვულობასა და დამოკიდებულებაზე აკეთებს ერთმანეთის მიმართ, სადაც მნიშნელოვანია ხდება არა მხოლოდ კერძო ინტერესების დაკმაყოფილება, არამედ ურთიერთსარგებლიანობა (აკობია, 2016). ჩვენთვის ამ ნაშრომში მნიშნელოვანია, რომ წარმოვაჩინოთ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობა და გავლენა დღევანდელ მსოფლიოში. ჩვენი საკვლევი კითხვები ნაშრომის ფარგლებში იქნება: არის თუ არა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება 21-ე საუკუნის მსოფლიოში? თუ არის რა გავლენა აქვს მას მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაში? არგუმენტირებული მსჯელობით, თეორიაზე დაყრდნობით შვეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებს და დავტესტოთ ჩვენი ჰიპოთეზა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება თამაშობს მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოთა კოორდინაციისა ერთმანეთთან თანამშრომლობის საკითხში.

მეთოდოლოგია

ჩვენი მეთოდოლოგია არის თეორიაზე დაყრდნობით კონკრეტული მაგალითების განხილვა. გავაკეთებთ ლიტერატურულ მიმოხილვას, რათა წარმოვაჩინოთ კონცეფციის მნიშვნელობა, აქტუალობა და ზოგადად მისი შინაარსი, თუ რას გულისხმობს იგი. გამოვკვეთავთ მის ძლიერ და შედარებით სუსტ მხარეებს და საბოლოოდ იმისთვის, რომ ჩვენი ნაშრომი გამოვიდეს მეტად ანალიტიკური, მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს ქეისის სახით, რათა გავამყაროთ ჩვენი ჰიპოთეზა, რომ ეკონომიკური ორგანიზაციებით თუ კონკრეტული შეთანხმებები სახელმწიფოთა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშვიდობის და თანამშრომლობის მიღწევის საკითხში.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია

საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი როლი ენიჭება კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიას, რომელიც მოიაზრებს გაცილებით უფრო მშვიდობიან და უსაფრთხო მსოფლიოს. დამოკიდებულება ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არსებობა და მისი პოლიტიკური გავლენა გარეშე ძალების მიერ განისაზღვრება ან ეს ძალები მასზე გავლენას ახდენენ, ურთიერთდამოკიდებულება კი გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი მრავალმხრივია. (რონდელი, 2006, 178). ჟოზეფნაი და რობერტ კიოჰაინი ურთიერთდამოკიდებულების თეორიას აღწერენ შემდეგნაირად: “თუ მეორე მსოფლიო ომამდე ძალა გადამწყეტი მნიშნელობისა იყო კონფლიქტების მოგვარების საკითხში, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ხანაში ეს ასე აღარაა ორი მიზეზის გამო: დღესდღეობით ქვეყნებს შორის ურთიერთობები არ განიხილება, როგორც მხოლოდ ქვეყნების ლიდერთა ურთიერთობები. მეორე, წარმოებს ხშირი ურთიერთობები ქვეყნებსა და ადამიანებს შორის, ხოლო ძალა აღარაა მთავარი ინსტრუმენტი ამ ურთიერთობებში” (Keohane and Nye, 1987)

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია გვთავაზობს საერთაშორისო სისტემას, რომელშიც სახელმწიფოს,

როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილის როლი განუხრელად მცირდება; სახელმწიფო არ არის არც უნიტარული ერთეული და არც ძირითადი სუბიექტი თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში. უფრო მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი; გარდა ამისა, ძალა, კერძოდ სამხედრო ძლიერება აღარ წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობათა განმსაზღვრელ ფაქტორს და იგი თანდათან იცვლება ეკონომიკური ძლიერების ფაქტორით. ასსეთ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა ძირითადი მიზანი მატერიალური კეთილდღეობაა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნული ინტერესები, კერძოდ, ეკონომიკური კეთილდღეობის მიზნით სახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სუვერენიტეტი და დათმოს ზოგიერთი ინტერესი (Williams, Wright and Evans, 1993) კიოჰეინის და ნაის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ჩვენ ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში ვცხოვრობთ, ეთანხმებაა აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერიც, რომელიც აცხადებს, რომ მსოფლიო ურთიერთდამოკიდებული გახდა ეკონომიკურად, კავშირურთიერთობებით და ადამიანის მისწრაფებებით". ამრიგად, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია თავის თავად მოიაზრებს ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც დაფუძნებულია სახელმწიფოებს შორის ფულის, ადამიანების, პროდუქტის და შეთანხმებების მიმოცვლაზე. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთქმედება სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობების საფუძველია, ვინაიდან ვაჭრობით მიღებული ორმხრივი სარგებელი და ზრდადი ურთიერთდამოკიდებულება ეროვნულ ეკონომიკებს შორის აძლიერებს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას და ქმნის მშვიდობიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარანტიას.

ევროკავშირი, როგორც ეკონომიკური გაერთიანება

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ურთიერთობა. მე-20 საუკუნის შუა პერიოდში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომი-

კურმა მდგომარეობამ დასავლეთ ევროპის ქვეყნები თავიანთი ეკონომიკური შესაძლებლობების გაერთიანების აუცილებლობის წინაშე დააყენა, რამაც ევროკავშირის შექმნა განაპირობა. ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება თავდაპირველად არ იყო ისეთი ამბიციური და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე. ამიტომაც იყო, რომ სერიოზული კითხვები იყო მისი ფუნქციონირების შესახებ. თუმცა, მიუხედავად ბევრი კრიზისისა თუ სტრუქტურული ცვლილებებისა, 80-იანი წლებიდან და ერთიანი ევროპული აქტიდან უკვე დაიწყო მნიშვნელოვანი ძვრები და გაერთიანება ყველასთვის მიმზიდველ თავშესაფრად მოგვევლინა. თავდაპირველად ევროკავშირი მხოლოდ ეკონომიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელიც არეგულირებდა წევრი ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებს, თუმცა თანდათანობით აშკარა გახდა მისი პოლიტიკური საფუძვლების განვითარება და ის ცვლილებები, რომლებმაც სახელმწიფოთა შორის კოლაბორაციის საკითხში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა. თვითონ ევროკავშირის შიგნით ხშირად ჰქონდა ადგილი დაპირსპირებას, სარგებლის გადანაწილებას თუ პოლიტიკის შემუშავების ინსტიტუტებთან დაკავშირებით, რთული იყო წევრი ქვეყნების ინტერესების შეჯერება და მათი კოორდინაცია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გაერთანებამ ეს წარმატებით შეძლო. ამის შედეგად მივიღეთ დღეს ერთ-ერთი უძლიერესი საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკური აქტორი, რომელიც ქმნის სახელმწიფოთა შორის სარგებელს, ანაწილებს მათ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშვიდობის საკითხში ორგანიზაციის შიგნით და სტაბილურობის საკითხში მის გარშემო. (Booker and North, 2005)

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის რეკონსტრუქციისა და კოორდინაციის მიზნით. ორგანიზაცია მიზნად ისახავს ოპტიმალური ეკონომიკური განვითარებისა და წევრ სახელმწიფოებში ცხოვრებისა

და დასაქმების დონის გაუმჯობესების ხელშეწყობას, განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობას და მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებას. იგი დაფუძნდა 1961 წელს, შტაბ- ბინა პარიზში მდებარეობს. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამართალმემკვიდრეს, რომელიც 1948 წელს შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ჰორგანიზაციის წევრია 34 მაღალგანვითარებული სახელმწიფო, რომლებიც დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს აღიარებენ (Maggda Lovei and Weiss, 1998) ორგანიზაციის მთავარი მიზანია, ცხოვრების დონისა და დასაქმების დონის გაუმჯობესება და ხელშეწყობა, განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა, ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საბჭო , რომელიც წელიწადში მინიმუმ ერთხელ იკრიბება და ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამას განსაზღვრავს.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია

ორგანიზაციის მთავარი მიზანია მისი წევრების ინტერესების, ინდივიდუალური თუ კოლექტიური, ოპტიმალურად დაცვის საშუალებების განსაზღვრა, რაც ითვალისწინებს გზებისა და საშუალებების განსაზღვრას ნავთობის ბაზარზე ფასების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად. მწარმოებელ ქვეყანათა ინტერესების გამოიხატება მათთვის სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფაში; ეფექტიანი, ეკონომიური და მუდმივი მიწოდებაში მომხმარებელი ქვეყნებისთვის, ასევე მომგებიანობის გარანტიით კაპიტალზე, მათთვის ვინც ამ ინდუსტრიაში ინვესტიციას ახორციელებს. ჰორგანიაციაში გაერთიანებული სახელმწიფოები გარდა იმისა, რომ თანამშრომლობის ფონზე ერთმანეთისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან, ასევე ქმნიან მნიშვნელოვან სტანდარტს მსოფლიოში თავიანთი საერთო ქმედებებით (Evans and Brown, 1993)

სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტები

ნავთობი, ბუნებრივი აირი თუ სხვა სასათბობე სასარგებლო წიაღისეული დღევანდელ ტექნოლოგიებით განვითარებულ მსოფლიოშიც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. რეალისტები

ბუნებრივი რესურსების განაწილებაზე დაპირისპირებას მიიჩნევენ ომების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად. თუმცა ეკონომიკური დამოკიდებუების ჭრილში რომ ავხსნათ ეს პროცესები, საკმაოდ ლოგიკურ და მნიშვნელოვან დასკვნამდე მივალთ. ისეთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტები, როგორიცაა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ყარსი, ტაპი, ტანაპი და სხვა პროექტები აერთიანებს ქვეყნებს მრწამსის, ინტერესებისა და პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად. ეკონომიკური პროექტები, იმ ქვეყნებსთვის, რომლებიც მასში არიან ჩართულნი ქმნიან საერთო სარგებელს, ეს ყველაფერი კი იმდენად მაღალ თანხებთანაა დაკავშირებული, რომ პროექტის წარმატებით დასრულება ყველამხრივ სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხად არის მიჩნეული.

დასკვნა

დღეს მსოფლიო უფრო მეტად კომპლექსურია, ვიდრე ოდესმე. ამ სირთულის განმაპირობებელი ფაქტორები ის მრავალმხრივი არხები და ორგანიზაციებია, რომლებიც სუვერენულ სახელმწიფოებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირების საკითხში. ბევრი მკვლევარი დავობს და პესიმისტურად უყურებს ურთიერთდამოკიდებულების თეორიას, როგორც თანამშრომლობის განმაპირობებელ ინსტრუმენტს. საუკუნეების განმავლობაში ძალა პრობლემების მოგვარებისა და ურთიერთობების წარმართვის მთავარ ინსტრუმენტად ითვლებოდა, თუმცა დღეს, როდესაც ლიბერალური თეორიები აღარ არის საფუძველს მოკლებული, ნათელი ხდება რომ ძალის მნიშვნელობა კნინდება და არსებობს სხვა მექანიზმები, რომლებიც ანაცვლებს ძალისმიერი მეთოდების ადგილს სახელმწიფოთა ურთიერთობების საკითხებში. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი სწორედ სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა და ამით მათი ეკონომიკების ლიბერალიზებაა. ამ ვითარებაში სუვერენული სახელმწიფოები გადასულები არიან საერთო სარგებლის შექმნაზე, რომელიც თავის მხრივ მშვიდობის განმაპირობებელიც არის, რადგან ომი და

დაპირისპირება აფერხებს ეკონომიკურ პროცესებს, რომლითაც საბოლოოდ ზარალდება მასში ჩართული ყველა მხარე. სახელმწიფოთა ინტერესებში კი ყოველთვის შედიოდა ნაკლები ზარალის ფონზე მეტი მოგების მიღება. ისეთი ორგანიზაციები როგორიც არის, ევროკავშირი, ოპეკი ან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია სახელმწიფოებს ეხმარება ისეთი სარგებლის მიღებაში, რომელსაც მხოლოდ ცალმხრივი ქმედებით ვერ მიაღწევენ. მათმა საქმიანობამ გავლენა იქონია არა მხოლოდ წევრ სახელმწიფოებზე, განვითარებულ ქვეყნებზე, არამედ განვითარებად სახელმწიფოებზეც. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შემთხვევაში. შესაბამისად, ყველა ზემოთგანხილული გარემოება გვაძლევს იმის დაშვების ალბათობას, რომ ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას აქვს იმის უნარი, რომ მსოფლიო გარდაქმნას მეტად თანამშრომლობით და მშვიდობიან სახელმწიფოთა და სხვა აქტორთა სისტემად.

REFERENCES:

1. Akobia, E. 2006. *Theory of the international relations.*Tbilisi.

2. Rondeli, A. 2006. *International Relations.* Tbilisi: Nekeri.

3. Keohane, R and Nye, J. 1987. *Power and independence.* The MIT Press. http://www.ri.ie.ufrj.br/intranet/arquivos/power_and_interdependece.pdf

4. Howard L. Williams, Moorhead Wright, Tony Evans. 1993. *A Reader in International Relations and Political Theory*. UBC Press \ Vancouver

5. Christopher Booker and Richard North. 2005. Great Deception: *The Secret History of the European Union.* Continuum.

6. Magda Lovei, Charles Weiss.1998. *Environmental Management and Institutions in OECD Countries.* The World Bank Washington D.C

7. John Evans and Gavin Brown. 1993. *OPEC and the World Energy Market: A Comprehensive Reference Guide* .Published by: Taylor & Francis, Ltd.

WHAT IS THE ROLE OF INTERNATIONAL ECONOMIC INTERDEPENDENCE IN THE MODERN WORLD?

Amza Chargazia, Mariam Tlashadze,
Mariam Tsabadze, Nata Kiria, Mariam Khvedelidze,
Bachelor Students of TSU

RESUME

After the cold war, the people started to think how to build the better and safer world. The ideas about the eternal safety and peace became very popular. But soon, the society has realized that the conflicts and ethnic-conflicts were an obstacle for the idealistic world. After that it became clear that the quantity of international organizations and economical dependence of member states help the states to become their relations deeper and deeper from a positive side. Accordingly, it is clear that the economic dependence among the states help them in collaboration, in coordination and also it protects the national interests as well as they are in harmony with the common interests.